სახალხო გაზეთი

№ 256 ოთხშაბათი, 16 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 256

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქვრივი კნეინა **ნინა ნიკოს მხეიძის ასული მიქელაძისა, ასულნი მათნი ლუბა და კნ. ეკატერინე მიქელაძისანი,** სიძე თ-დი **ზუკულა მელიტონის ძე მიქელაძე,** აუწყებენ ნათესავთა დანაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის—ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—მამა, ხოლო მესამის—სიმამრი

თ-დი მერაბ ზურაბის ძე მიქელაძე.

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 20 მარტს, კვირას, შუადღის 12 საათზე, სოფ. კულაში, ჯვარცმის ეკკლესიაში. (2—1148—1)

კვირას, 27 მარტს 1911 წ., დილის 11 საათზე,

სავალო პროგიმნაზიის შენობაში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები: 1) დამტკიცება 1910 წლის ანგარიშისა, 2) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, ორის—საბჭოსა და სამის—სარევიზიო კომისიისა, მათის კანდიდატებით, ნაცვლად ვადა გასულთა. 3) დამტკიცება 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. და 4) კითხვა ახალ ბინაზე გადასვლისა. (3—1145—2)

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

დამფუძნებელნი სთხოვენ საზოგადოების წევრებს და ყველას, ვისაც სურს მის წევრობა, მობრძანდნენ 16 მარტს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში

პირველ საზოგადო კრებაზე

საზოგადოების ორგანიზაციის დასაწყობად და მოხელეების ასარჩევად. კრების დაწყებამდის მსურველთ იქვე შეუძლიანთ წევრად ჩაეწერნენ, მხოლოდ საჭიროა თითო მანეთი საწევრო ფულის გადახდა. (2—1146—2)

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, **სახლი № 6,** სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—2)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—7)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10¹/₂—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2¹/₂—3¹/₂ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2¹/₂ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფირაძლოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2¹/₂ ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 60 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათი. საფასურით. (წ.—1089—419)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. ლიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11¹/₂.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11¹/₂—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.

(წ—1090—15)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა ხნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—62)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო მესაწვავებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის გასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—22)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—15)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვთისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—22)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.,N 20. (0—6.—72)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—180—102

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოლოვინსა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—235

ექიმი ა. ნ. ლიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ვირალოვის სახლი. (50—15—43

ტფილისი, 16 მარტი

წ.-კ. გ. ს. მომავალი კრების გამო.

ახლო მომავალში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, 25 მარტისთვის განზრახულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრების მოწვევა. დრო, როგორც ხედავთ, ძალიან ცოტა დარჩა, მაგრამ აქამდის საზოგადოების მოქმედების ანგარიშიც არ არის გამოქვეყნებული. ანგარიშის დროზე გამოქვეყნება კი აუცილებელია, მით უფრო, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ერთი საანგარიშო წელიწადის შესახებ ცნობები სრულიად არ გამოაქვეყნა და შემდეგი დროისთვის გადასდო. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ასე შინაურულად წარმოება საქმეებისა უპირველესი დამაბრკოლებელი მიზეზია საზოგადოების მოქმედების გაფართოვებისა. რამდენჯერმე გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა, ვითომც მთავარი გამგეობა იმიტომ აგვიანებს ანგარიშების ბეჭვდას, რომ ფილიალურს განყოფილებებიდან თავის დროზე ვერ მიიღო ანგარიშები. ადვილად შესაძლებელია ეს ასეც იყოს, მაგრამ მაინც იგი გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება. გამგეობას ყოველი ღონის-ძიება უნდა მიეღო, რომ განყოფილებებისაგან ანგარიში თავის დროზე მიეღო; თუ საჭირო იქნებოდა, საგანგებო კაციც კი უნდა გაეგზავნა პროვინციებში. გამგეობა მცირეოდენ ხარჯს არ უნდა მორიდებოდა, რადგანაც თავის დროზე ანგარიშების შედგენასა და გამოქვეყნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

კრების დრო ახლოვდება, და საზოგადოებას კი ჯერ არავითარი წარმოდგენა არა აქვს, როგორ მოქმედებდა გამგეობა, რანაირს მდგომარეობაშია სკოლები, რა გააკეთეს ადგილობრივმა საზოგადოებებმა. ეს უცოდინრობა ისეთს პირობებში აყენებს საზოგადოებას, რომ იგი სრულიად მოუმზადებლადა ჰხვდება მომავალს კრებას. გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია. ფილიალურ განყოფილებათა დაარსებამ იმდენად გაართულა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედება, რომ სერიოზული და დაკვირვებული გათვალისწინება როგორც ეხლანდელ მდგომარეობისა, ისე მომავალ მოქმედებისა, აუცილებელი ხდება.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ შემდეგში მაინც თავის დროზე ანგარიშების შედგენა არ დაგვიანდეს. ადგილობრივმა განყოფილებებმა რომ ანგარიშების წარდგენა არ დააგვიანონ, საჭიროა დაწესდეს განსაკუთრებული თანამდებობა რევიზორისა, რომელიც დრო-გამოშვებით დაივლის ადგილობრივ განყოფილებებს რევიზიის მოსახდენად. ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთებმა გვაცნობეს, გამგეობას აზრადა აქვს დაწესება საზოგადოების სკოლათა ინსპექტორის თანამდებობისა. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სარევიზიო ფუნქციები მიენიჭოს სკოლებისა და ბიბლიოთეკების ზედამხედველს.

საუბედუროდ ღარიბები ვართ როგორც ქონებით, ისე ინტელიგენტურ ძალებით, თორემ საქმე უფრო უკეთესად შეიძლებოდა მოწყობილიყო. მაგრამ დღევანდელს პირობებში, ასეთი გაერთიანება ფუნქციებისა აუცილებელი ხდება. ადგილობრივ განყოფილებათა უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. მთავარ-გამგეობას ყოველთვის თვალ-წინ უნდა ჰქონდეს, რამდენადაც კი შეიძლება, სრული სურათი საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების მდგომარეობისა. გამგეობის წევრებად კი ყოველთვის ისეთს პირთ ირჩევენ, რომელთაც ვერ შეუძლიანთ მუდმივი ზედამხედველობა გასწიონ. ამისათვის საჭირო ხდება განსაკუთრებულ თანამდებობის დაწესება ისეთის სასყიდლით, რომ ინტელიგენტ ქართველს შეეძლოს მთელი თავისი დრო მხოლოდ ამ საქმეს შესწიროს.

ამის გარდა საჭიროა აღდგენა სექციებისა. ბევრი რამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მხრით სრულიად უყურადღებოთაა დატოვებული, არაფერი გაკეთებულა; მაგალითად, წიგნების გამომცემლობის სფეროში. ამაზე არა ერთხელ გვქონია ჩვენს გაზეთში ბაასი მკითხველთან. ამიტომ ერთხელ გამოთქმულ აზრს აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ კი კვალად, რომ ამ საქმეს დიდი ყურადღება უნდა მოექცეს. საზოგადოდ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოცოცხლება ესაჭიროება. ვერ ვიტყვით, რომ უმოქმედობა მხოლოდ გამგეობის წევრთა ბრალი იყოს; უმთავრეს მიზეზად მოქმეოების უნაყოფობისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ბევრნაირი საქმე აქვს დაკისრებული. ერთი კულტურული საზოგადოება ყველას ვერ უძლვება, და საბოლოოდ კი არც ერთს დარგში არაფერი კეთდება.

ამ რამდენისამე ხნის წინათ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ერთი ნაბიჯი წინ გადადგა—ადგილობრივი განყოფილებანი დაარსა. ჩვენის აზრით, მან მეორე ნაბიჯიც უნდა გადადგას და ამით საერთო საქმე წინ წასწიოს. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთ-ჩინეთის დამოკიდებულებას მეტად გაფაციცებით ადევნებენ თვალს რუსეთის გაზეთები. „უტრო როსიი" ამის თაობაზე სწერს:

> „ჩინეთი თავ-გამოდებით ემზადება საომრად და იგიც ისევე მოულოდნელად დაგვეცემა თავზე, როგორც იაპონია.
>
> როგორც იაპონიასთან ომის დროს, ჩვენ ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ გაგვებრაზებინა მოპირდაპირე და გასაქანი აღარ მიგვეცა, ხოლო ჩვენ კი საომრად არ ვემზადებოდით...
>
> 1904 წ. 26 იანვარს ღამით ჩვენს ფლოტზე მოულოდნელად იერიში რომ მოიტანეს იაპონელებმა პორტ-არტურში, ჩვენმა შორეულ-აღმოსავლეთის სამხედრო მოდარაჯეთ, ყვირილი მორთეს:
>
> — თავს დაგვესხნენ! ომის გამოუცხადებლად? ეს ხომ ბარბაროსობაა!
>
> ალბად ასევე მოხდება ეხლაც:
>
> ჩვენი საზღვრის მოდარაჯე რაზმებს ჩინელი მეომარნი განუკითხავად სროლას უტეხენ, რკინის გზის ლიანდაგს აფუჭებენ, მთელი ქვეყნის თვალწინ, აშკარად მობილიზაციას ახდენენ და შორს არაა ის წუთი, როდესაც ხარბინი ჩინელებს ჩაუვარდებათ ხელში.
>
> პეტერბურგში ალბად, - ეხლა„ ბარბაროსობაზე" დაიწყებენ ყაყანს.
>
> მაგრამ ჩვენს დიპლომატიას განა გაფრთხილება კიდევ ესაჭიროება?..
>
> საკმარისია იმ თვალსაჩინო ამბავს მიაქციოს ყურადღება, რომ **ჩინეთს აუარებელი სესხი მისცა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ,** ცხადია ომის საჭიროებისათვის. განა ეჭვია, რომ ამ სახელმწიფოთაგანი ერთი თუ ორი მაინც რუსეთის მეგობართაგანია.
>
> ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ეგოდენ ფულს წყალში არავინ გადაჰყრიდა.
>
> ცხადია 4 სახელმწიფოს კომერციული ანგარიში იმაზეა დამყარებული, რომ რუსეთი ჩინეთის მხრივაც დამარცხდება".

ახალი ამბები

ტფილისი

◆ 14 მარტს ტფ. **ქალაქის საბჭოს** კრება მოხდა ბ-ნ კოჯრაევის თავმჯდომარეობით. საბჭომ მთელი დრო მოანდომა ქალაქის საარჩევნო უბნებად დაყოფის საკითხის განხილვას. ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ საბჭომ ამ კრებაზე უკამათოდ უნდა დაადასტუროს თავისი დადგენილება სამ საარჩევნო უბნად დაყოფის შესახებო. მეორენი კი თხოულობდნენ, ქალაქი მეტ საარჩევნო უბნად დაიყოს, რათა ქალაქის ყველა უბანს მიეცეს შეძლება, საბჭოს ხმოსნად თავისი კანდიდატი აირჩიოს, რომელსაც უკეთ ეცოდინება თავისი უბნის საჭიროებანიო. კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, უცვლელად დასტოვოს წინანდელი თავისი დადგენილება.

◆ ტფ. ქალაქის საბჭომ 14 მარტს ერთხმად დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც ქალაქის თანხიდან 500 მანეთი უნდა გადაიდოს **ქუთაისის გუბერნიაში მკაცრის ზამთრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.**

◆ როგორც გვწერენ, ამ დღეებში სოფელ ვარდისუბანში (თელავის მაზრა) ალექსი ჯაშიაშვილს **ცულით მოუკლავს** 16 წლის ყმაწვილი იოსებ ჯაშიაშვილი, რომელსაც პირველისთვის ლორი მოუპარავს.

◆ **საკითხი საადრესო სტოლის შესახებ** ქალაქის გამგეობაში კვლავ ღიძრა· ქალაქის გამგეობას ამ საგნის თაობაზე, კრება ჰქონდა და დაადგინა, წინადადება მისცეს საბჭოს, კვლავ გადასინჯოს თავისი დადგენილება საადრესო სტოლის პოლიციის ხელში დატოვების, და ამ სტოლის შესანახ ხარჯებისგან ქალაქის სრულიად განთავისუფლება.

◆ **ტფ. ყასბები.** ქალაქის გამგეობას ყოველ დღე შესჩივიან, ცხვრის ხორცის გაყიდვა იმ ნიხრით, რომელიც დაწესებულია, ჩვენთვის საზარალოაო; ამიტომ ნიხრს მოუმატეთო. ქალაქის სამეურნეო კომისიამ დაადგინა, საცდელად ცხვარი დაჰკლან, რათა გამოარკვიოს, რამდენად სამართლიანია ყასაბთა საჩივარი.

◆ ტფილისში ჩამოვიდა კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორი გ. დ. დუშლინი, რომელიც ექსპერტად არის მოწვეული ვერის დახმარდზე მომხდარ უბედურობის გამო. საქმის გარჩევა, როგორც

ვწერდით, ოლქის სასამართლოში დანიშნული 17 მარტს.

◆ 20 მარტს **ტფ. ვაჭართა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება მოხდება, რომელიც, სხვათა შორის, საზოგადოების თანამდებობის პირთ ამოირჩევს.

◆ 14 მარტს **თავის მოკვლის განზრახვით** საწამლავი დალია ბარბარე თევდორეს ასულმა კუდრიჩევამ. მოწამლული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. მისი მორჩენის იმედი ცოტაა.

◆ როგორც „ზაკ. რ." გაუგია, **ტფილისის გუბერნატორად** ტფ. ვიცე-გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი ინიშნება, ხოლო უკანილის ადგილზე—კამერგერი პანოვი.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დამფუძნებელი კრება** მოხდება დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში. კრება, სხვათა შორის, საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებს აირჩევს.

◆ **საეკლესიო მგალობელთა საზოგადოება** 27 მარტს საარტისტო თეატრში სასულიერო კონცერტს გამართავს.

◆ როგორც გავიგეთ, **ბ. ნ. ნ. ზ. ცხვედაძე ამ ჟამად ავად არის**. ექიმებს ურჩევიათ, თავის მოსარჩენად საზღვარ-გარედ წავიდეს.

◆ გუბერნატორის ნებართვით, მექანდაკე ი. ნიკოლაძეს უკვე მიუღია 700 მანეთი **ქ. ნინოშვილის ძეგლის** ასაგებად. როგორც ამბობენ, ძეგლი ნინოშვილის საფლავზე უნდა დასდგან.

◆ როგორც გაზ. „ბაკინეც" შეუტყვია, სინოდის ობერ პროკურორს საკითხი აღუძრავს, რომ **ეპისკოპოსი კირიონი** ექსორიიდან დააბრუნონ.

◆ **როგორც გვწერენ, სიღნაღის მაზრის სოფელ კარდანახში ხუნაგი მძვინვარებს.**

◆ 14 მარტს მნაცაკანოვის ხიდთან მტკვარში **იპოვეს გვამი მწყემსის ახმედ ებ-ოღლისა**, რომელიც ორის კვირის წინად სოფელ ავჭალაში მტკვარში შესულა ცხვრის გამოსაყვანად, მაგრამ წყალს წაუღია და დამღრჩვალა.

◆ 14 მარტს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 38 უპასპორტო.

◆ **დრამატიულ საზოგადოების** გამგეობას უკვე მიუღია თავად-აზნაურობისაგან ორასი თუმანი, რომელიც გამგეობამ მსახიობებს გაუნაწილა.

◆ ვასო აბაშიძეს ქართულად გადმოუთარგმნია ოფენბახის ოპერეტა „მოჭიკჭიკე ჩიტები", რომელიც აღდგომის კვირაში დაიდგმება ქართულს თეატრში.

◆ 14 მარტს ტფ. მოქალაქემ სერგო ვასილის-ძე აბრამიანმა პოლიციას განუცხადა: რამდენიმე დღის წინად სახლიდან ვიღაც უცნობმა 4 პალტო (ორი ქალისა ორი კაცისა) მოიპარა ღირებული 150 მან. და ერთი პალტო ვაჟისა უკვე აღმოაჩინეს ავლაბარში ძველის ტანისამოსის მოვაჭრე ერვანდ გეორქის-ძე მიკირტუმიანცთან, რომელმაც განაცხადა, უცნობ კაცისაგან ვიყიდეო უცნობი იპოვეს და აღმოჩნდა თელავის მცხოვრები ალექსანდრე მელქოს ძე ჯილოვდაროვი.

◆ ორი დღის წინად სალდათის ბაზარზე ქურდობა მოხდა: ბარონის ქუჩით აუძვრიათ ჰაერისათვის გაკეთებული ფანჯრები და დავით ბერიშვილის სარდაფიდან, გამოუტანიათ თერთმეტი სასწორი და სხვა ნივთები. ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ფელეტონის მე-3 გვერდის მე-3, 4 და 5 სვეტებში სიტყვებ **„ნაციონალისტური"**-ის მაგიერ უნდა იყოს **„ნატურალისტური"**.

ქუთაისი

◆ **ჭალადიდის საზოგადოებაში დაზარალებულთა სასარგებლოდ** 10 მარტს საქალაქო თეატრში რუსულ-ქართულ ენაზე სალიტერატურო და სამუსიკო საღამო გაიმართა, რამაც თეატრში აურაცხელი ხალხი მიიზიდა. საღამო გაიმართა ადმინისტრაციის თაოსნობით. საღამომ საინტერესოდ ჩაიარა და შემოსავალიც კარგი იყო.

◆ **ცნობილი ლექტორი ლისიცკი** აქაც გვეწვია 11 მარტს საქალაქო თეატრში წაიკითხა ლექცია შემდეგს თემაზე: „ხალხი და ინტელიგენცია ტურგენევის შემოქმედებაში". ლექციას ცოტა ხალხი დაესწრო.

მეთვალყურის შენიშვნები

6.

დღევანდელ ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრების საყურადღებოდ.

დღეს, 16 მარტს, უნდა მოხდეს პირველი საორგანიზაციო კრება ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა; დღეს უნდა ჩაიყაროს საძირკველი იმ მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებისა, რომელიც, სადაც სამართალია, რამდენიმე ათი წლის წინად უნდა დაარსებულიყო. მაგრამ მაინც, რუსებისა არ იყოს, ისევ გვიან დაარსება სჯობიან სულ არ დაარსებას.

როგორცა ვსთქვი, ეს კრება პირველია, და აქ უნდა აირჩიონ ხელმძღვანელი ორგანო მომავალ საზოგადოებისა და საერთოდ შეჰქმნან შესაფერი ორგანიზაცია; ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს შევჩერდე ამ საკითხზედ და გამოვსთქვა ჩემი აზრი ამის შესახებ. უწინარეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ საზოგადოების ორგანიზაცია იმდენად სდგას მკვიდრ ნიადაგზე, რამდენადაც ეს ორგანიზაცია შეესაბამება საზოგადოების მოქმედების შინაარსს და შეხამებულია იმ პირობებთან, რა პირობებშიაც უხდება საზოგადოებას მოქმედება.

მომავალი ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სამოქმედო გეგმა—წესდება უკვე დაბეჭდილია. მისი შინაარსი იმდენად მრავალ-მხრივია, რამდენადაც მრავალ ფეროვანია ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობა. იგი მიზნად ისახავს: ხვნა თესვას და სახნავ-სათეს მინდვრების გაუმჯობესობას, საქონლის მოშენებას, მეფუტკრეობას, ერბო-ყველის გაუკეთესებულ საშუალებით დამუშავებას და სხვას.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი საზოგადოების მოქმედების პროგრამის ამ ფართო შინაარსს და აგრეთვე არ დავტოვებთ უყურადღებოდ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალ-ფეროვანი სოფლის მეურნეობა მოფანტულია, ცხადი გახდება მნიშვნელობა ორგანიზაციისა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ მეურნეობას. რომ შრომამ ნაყოფი გამოიღოს, აუცილებლად საჭიროა სამეურნეო საზოგადოება სექციებად დაიყოს. თვითოეული სექცია განსაზღვრულ დარგს მოჰკიდებს საქმეს, და ამით საერთო საქმეც წინ წაიწევს.

როგორც ვიცით, ამ საზოგადოების დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ტფილისის ქართველ ინტელიგენციის პატარა ჯგუფს; ამ ინიციატორებმა პრესსის საშუალებით მხნე აგიტაცია გამართეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ამ საზოგადოების დაარსების ამბავი ფართო მასამ იცოდეს. ეს კი სასურველი არ არის. საჭიროა ფართო მასაც დაინტერესდეს სამეურნეო საზოგადოებით. ამისათვის კი საჭიროა წინდაწინვე იქმნას მიღებული სათანადო ზომები.

ეს სოფლის ხალხის მოსახვეჭი ზომები შემდეგია: უნდა შემოვლილი იქნეს შეძლების დაგვარად ჩვენი სოფლის საზოგადოებები უნდა წაიკითხონ ლექციები საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ, გააცნონ მისი მოქმედების გეგმა; ამასთანავე ყოველივე ამ ადგილებში უნდა სპეციალისტის მიერ ნაჩვენები იყვეს რაიმე დარგიდან მაგალითი სასოფლო მეურნეობის უკეთეს დაყენების წარმოსადგენად და დაურიგდეს პოპულიარულ სამეურნეო ხასიათის წიგნები. ასეთი შემოვლა ჩვენის ქვეყნისა შეძლებას მისცემს მეთაურთ, დააინტერესონ ადგილობრივი გლეხობა. ბევრგან შეიძლება დაარსდეს ადგილობრივ ინტელიგენტთა და გლეხების ორგანიზაციები; როცა ეს მოხდება შეიძლება გაიმართოს ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლების კრება. ეს წარმომადგენელნი აუწყებენ კრებას თვითოეულ რაიონისათვის აუცილებელ საჭიროებას. დღეს-დღეობით კი იმ პირველი ნაბიჯისათვის, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ სოფლის მცხოვრებთა დასაინტერესებლად და მათ მოსახიდავათ, სრულიად საკმარისია მცირე რიცხოვან ორგანოს შექმნა, რომელსაც დროებითი-ბიუროს ხასიათი უნდა ჰქონდეს; მას უნდა შევადგენდეს 5-ით მხნე ენერგიული და საქმის მოყვარული კაცი. ამათ უნდა დაევალოს სოფლად მუშაობის მოწყობა იმ გზით, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რისთვისაც აუცილებელი იქნება საჭირო სპეციალისტ-აგრონომების დაქირავება.

ასეთს გზას უნდა დაადგეს დაახლოვებით, ჩემის აზრით, ჩვენი ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, თუ უნდა მიზანს მიაღწიოს.

დასასრულ, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით კი ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ამ ბოლო დროს ჩვენი გლეხი და მისი ინტერესი აკერია პირზედ, არამცთუ მხოლოდ დაესწრება კრებაზედ, არამედ შეძლებისა და გვარად დაეხმარება კიდეც, იქნება იგი მატერიალური დახმარება თუ თავის საკუთარის გასჯით, და ამგვარად ხელს შეუწყობს ამ მეტად საჭირო საზოგადოების აღორძინებას. თუ რამდენად განხორციელდება ეს იმედები, ამას დაგვანახვებს, სხვათა შორის, დღევანდელი კრება. **მრიველი.**

რა არის ჩვენთვის საჭირო?

ყველა ერის ბედ-იღბალი ეკონომიურ მდგომარეობაზე არის აშენებული. ხალხის ეკონომიური ცხოვრება განვითარების გზას თუ ადგია და თანამედროვე პირობებთან შეთანხმებულია, ერი, პოლიტიკურად დამონავებულიც რომ იყოს, ადვილად გაუწევს ანგარიშს ყოველ არა სასურველ და დამაბრკოლებელ მოვლენას. ასეთი ერის მომავალი უზრუნველ-ყოფილია.

მაგრამ, ვაი ერის ბრალი, თუ მის პოლიტიკურ დამონავებას ზედ დაჰყვა ეკონომიური დამონავებაც. სულიერად და ხორციელად მონა, ერი ჰკარგავს ყოველ მისწრაფებას და პასსიურად მიჰყვება ცხოვრების ტალღებს, რომელნიც, ვინ იცის, სად გამოჰრიყავენ მას.

საქართველოს ჯერ კიდევ თუ არ დაატყდა ეს ბედი, იმით აიხსნება, რომ არც მისი მეზობლები არიან ეკონომიურად და კულტურულად განვითარებულნი. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და ჩვენ უნდა ვისარგებლოთ დღევანდელი მდგომარეობით, მანამ სხვები დაგვასწრობენ და წინმსვლელობის გზას ჩვენზე ადრე დაადგებიან.

საზოგადოდ, ყველა პატარა და უძლურ ერის შველა იმაშია, რომ დიდი და ძლიერი სახელმწიფოები ერთმანეთის შურლით თავის ენერგიის და შეძლების მომეტებულს ნაწილს გარეგან სიძლიერის დამყარებას ანდომებენ. ამ დროს პატარა ერმა მთელი ღონე და სახსარი თავის ეკონომიურ ნიადაგის გამაგრებას და შინაურ ცხოვრების განვითარებას უნდა მოახმაროს.

საგულისხმო მაგალითი გვიჩვენეს ამ მხრივ ყველა ჩრდილოეთ ევროპის პატარა ქვეყნებმა,—შვეცია-ნორვეგიამ, ფინლიანდიამ, დანიამ და ბოლოს დროს ირლანდიამაც კი.

ავიღოთ, მაგალითად, დანია,—ეს პატარა ერი, რომლის რიცხვი არ აღემატება ორ მილიონ ნახევარს, დიდი ხანი არ არის, რაც ერთ ულარიბეს ქვეყნად ითვლებოდა მთელ ევროპაში. იქ ბუნება ხელს არ უწყობს სასოფლო მეურნეობას, რადგანაც ხანგრძლივი და ძლიერ ცივი ზამთარი იცის და მოკლე და დაუდგრომელი ზაფხული. მიწაც მომეტებულ ნაწილად უვარგისია და მოსავალს არ იძლევა, თუ იგი კარგა არ გააპატივეს.

დღეს ეს ხალხი,—თითქმის მთლად უბრალო გლეხობა,—სულიერ განვითარებით ისევე მაღლა სდგას, როგორც ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია. მისი სასოფლო მეურნეობა ისეა განვითარებული და ეკონომიური ცხოვრება ისე კარგად არის მოწყობილი, როგორც არც ერთ სხვა ქვეყანაში.

როგორ მოხდა ეს? დანია ყოველთვის იყო უძლური, სხვასთან გაჯიბრება და გარეგან ძლიერების გამოჩენა არ შეეძლო და ამიტომ მთელ თავის ენერგიას ეკონომიურ განვითარებას ანდომებს.

ამავე გზას ადგანან შვეცია-ნორვეგია და ფინლიანდია, და ჩვენ ვიცით, რამდენად ხალხი აქ კულტურულად მაღლა სდგას, ვიდრე სხვა დიდ სახელმწიფოებში.

ამ უკანასკნელ 10—15 წელს ირლანდიამაც არჩია ეკონომიური განვითარების გზა პოლიტიკურ უფლებების მოპოებისთვის აშკარა ბრძოლას. აქაც დიდი ნაყოფი მოიტანა ამ მიმართულებამ. დაბეჩავებული და ერთ დროს ღატაკი ხალხი ეკონომიურად აღორძინდა, აღარ მიისწრაფება ამერიკისაკენ, შინაც ხერხდება ადამიანური ცხოვრება: ხალხის მეთაურთა მომეტებული ნაწილი ეხლა იქ იმ აზრს დაადგა, რომ უპირველესად საჭიროა ეკონომიური ნიადაგის გამაგრება და ეკონომიურ ძალის მოპოვება. მხოლოდ, რადგან მარტო ძალა ჰქმნის ძალას, ეკონომიურ ძალას, მათ აზრით, მოჰყვება პოლიტიკურ მდგომარეობის გაუმჯობესობაც. ამ მოსაზრებით ხალხი შეუდგა ეკონომიურ ნიადაგზე დამყარებულ ორგანიზაციების დაარსებას, რათა გააუმჯობესოს წვრილი მემამულის სასოფლო მეურნეობა.

აშკარაა, ჩვენც ამ მიმართულებას უნდა დავადგეთ. უპირველესად საჭიროა ჩვენთვის მოვაწყოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, მას ზედ მოჰყვება კულტურული განვითარებაც. სოფელია ჩვენი ცხოვრების დედა-ბოძი და მას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას, თუ როგორ და რა გზით *) უნდა აღორძინდეს ჩვენი ცხოვრება. აღვნიშნავთ მარტო, რომ ამისათვის საჭირო საშუალებანი უკვე გამორკვეულია და განხორციელებული სხვა ქვეყნებში. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ მათი შესწავლა და ადგილობრივ პირობებთან შეთანხმება.

მაშასადამე, საჭიროა საქმის დასაწყებათ დაარსდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად დაიდებს ჩვენ ეკონომიურ ცხოვრების მოწყობას და განვითარებას. სწორედ ეს არის ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსების მიზანი. იქ უნდა მოიყრიფონ თავი ყველამ, ვისაც ხალხისათვის გული შესტკივა და შეთანხმებულ შრომით ქართველ ერის განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაყაროს. **ხ. ვ—ხ—**

მცირე შენიშვნა

ბ-ნ მარრს რუსულ ენაზე ერთი წიგნაკი დაუსტამბია: **„Еще о словѣ „челеби" 1911 წ. ტ. XX"**. ამ სიტყვიდან აწარმოებს ღმერთს და მის დასაწყისს ჰპოვებს ქართულ ენაში. ჩვენ ეს **„челеби"** ქართულად გვესმის, როგორც ჯალაფი—ცოლი, ჯალაფობა (ფშავში) მთელი ოჯახი დიდ-პატარიანად

— ვერა, ვერ დავგვიანდები, ჯალაფნი გამიჯავრდებიანო, — ამბობს ფშაველი და ჰგულისხმობს მთელს თავის ოჯახს დიდ პატარიანად.

— როგორ ბრძანდებით ნათლი-ჯალაფო?"—ეკითხება კახელი ნათლიის ცოლს...

ჩვენში სარწმუნოებრივი ჰეტერიზმიდან (**религiозный гетеризмъ**) ხომ არ წარმოსდგა სახელწოდება ცოლისა—„ჯალაფი?" აქედან ჯალაფობა, ე. ი. სახლი, სადაც ესვენა კერპი—ღმერთი ოჯახისა და, სადაც იკრიბებოდნენ ოჯახის წევრნი? „საჯალაფო ქვაბი", დიდი ქვაბი, რაშიაც მთელი ოჯახის საჭმლო კერძი მოიხარშება.

„მოჯალაფენი ვნახეო", ამბობს ფშაველი და ასე აგვიწერს იმათ ნახვას: მოჯალაფენი ბოროტ-სულები არიან, ერთად ბევრნი, შუაში ცეცხლი უნთიათ და გარშემო უსხედან. თუ ვინმე ამ დროს იმათ ახლო გაიარა, ეცდებიან „დახელთონ", (გააგიჟონ). საქმე იმაშია, რომ მოჯალაფენი წარმოადგენენ ჯგუფს, კაცებსა ჰგვანან და იმათი ცხოვრება ოჯახობრივია; სახლი თუმცა არა აქვთ, მაგრამ ნაცვლად იმისა კერა აქვთ, რაზედაც ცეცხლი უნთიათ და თავადაც, როგორც სახლში,—კერაზე, ისე სხედან. ცდილობენ კაცი შეაშინონ და გააგიჟონ, როგორც ზევითა ვსთქვი.

ასეთი წარმოდგენაა ფშავში და ვგონებ, ამ თვალსაზრისით რომ შეჰხედონ ჩვენმა ორიენტალისტებმა **„челеби"**-ს ვითარებას, კვლევა-ძიებისათვის კიდევ სხვა ჰორიზონტებიც აღმოუჩნდებათ. **ვაჟა-ფშაველა.**

ნეკროლოგი

† **მამა ანდრია წინამძღვრიშვილი.**

სტამბოლელ ქართველ საზოგადოებას ერთი მეტად სასარგებლო წევრი და კეთილისმყოფელი ადამიანი დააკლდა: **17 თებერვალს გარდაიცვალა ყველასაგან პატივცემული** ქართველი კათოლიკე მღვდელი, ანდრია წინამძღვარიშვილი. თუ რამ თქმულა და გაკეთებულა ჩვენთვის აქ ამ ხანებში, განსვენებული ამაში დიდი მონატრე და მონაწილე ყოფილა. სამშობლოს ვერ იცნობდა, მაგრამ მისით სულდგმულობდა და მასთან იყო დაკავშირებული მთელის არსებით. დრო და სიშორე უფრო უცხოველებდა მისადმი სიყვარულს და ნატრობდა: ღმერთო ისე ნუ მომკლავ, რომ საქართველო არა ვნახოო.

განსვენებული ახალციხეში დაბადებულა; დედამამას ცამეტი წლისა მოუყვანია აქ და თავის მოწაფედ მიუღია ცნობილ **აბბატ პეტრე ხარისჭირაშვილს** ქართველ კათოლიკეთა მონასტრის დამაარსებელს სტამბოლში. სწავლა დაუმთავრებია საფრანგეთში. ის მძიმე შრომა და **ვარჯი**, რომელიცა სჭირია ყოველ ახლად დაწყობილ საქმეს, თავის მოძღვართან პატრი ანდრიამაც იტვირთა. ოთხმოციან წლებში აბბატ პეტრეს თანამშრომელნი და აღზრდილნი რომ შესდგომიან სასარგებლო წიგნების ბეჭვდას ქართველ კათოლიკებში გასავრცელებლად, მამა ანდრიაც ახალგაზდა ღონით ამოსდგომია გვერდში და რამდენიმე სახელმძღვანელო თავის ხელით დაუწერია და დაუბეჭდია. მისი მეცადინეობით შეძენილი ძვირფასი **ქართული სტამბა** დღეს მონასტერში ინახება. იმავე ხანებში პაპის ნებართვით სტამბოლში დაუარსებიათ ქართული კათოლიკური ეკლესია და ანდრია წინამძღვრიშვილს თავის სურვილით **ქართულ წესზე** მიუღია კათოლიკე მღვდლობა. ბევრგან ჰბარებია საზოგადო საქმეები და სადაც ყოფილა, ყველგან სიყვარული და თვისი კეთილი ხსოვნა დაუტოვებია. მისი გულის სიკეთე და დაფარული ცრემლი უწყიან აგრეთვე ამ სტრიქონების დამწერმა და იმ პირთ, რომელთაც სამშობლოს გარეთ ყოფნა არგუნა დროებამ და რაიმე ბედით მას შეჰხვედრიან. ამ ბოლო ჟამს იგი **იყო სკოლის უფროსად და მონასტრის მდივნად**. ძველი საქმეები და მთელი მიწერ-მოწერა, რაც კი ჰქონიათ ერთმანეთში ან გარეშეებთან, დაარსებიდან მონასტრისა დღემდე, მის ხელში იყო და ყველა ქაღალდებს ცალკე დავთარში სწერდა, რომ არა დაკარგულიყორა; ამგვარად **შვიდი დიდი** დავთარი შესდგა და ეს დამთავრებული ძვირფასი განძი დაუტოვა მომავალს. მასვე დარჩა თავისი შედგენილი **ფრანგულ-ქართული ლექსიკონი ორ დიდ წიგნად**. ბევრს ნატრობდა მის გასწორება-დაბეჭვდას, მაგრამ აქამდე შემთხვევა და საშუალება არ მიეცა და შემდეგ რასაც იმედოვნებდა, სიკვდილმა არ დააცალა.

ეს პატიოსანი და მშრომელი ადამიანი, ჯერ ისევ არც ისე ხნიერი, 53 წლისა, ბევრისაგან გულწრფელად დატირებული, 19 თებერვალს მიაბარეს მიწას ქართველებმა. ამ დღეს დუქნები დაკეტეს და კუბო გვირგვინით შეამკეს ქართულის წარწერით: „სამშობლოს ერთგულ შვილს ძვირფას მამა ანდრიას". დიდძალ ხალხის გარდა დაესწრნენ საფრანგეთის ელჩისა და კონსულის წარმომადგენელნი.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, დაუზარელო მუშაკო! **ფარხმან.**

სიღნაღის ამბები

აქ არსებობს საბერო მამულები, სადაც 50 წელიწადია რაც აქაური მკვიდრნი სცხოვრობენ და სახლებიც აქვთ გაშენებული. ესენი ბერების სასარგებლოდ იხდიან მიწის იჯარას და ამავე დროს გადასახადს ქალაქისა და ხაზინის სასარგებლოდ. 5—6 წელიწადი აღარ გადაუხდიათ საბერო მიწების იჯარები, ბერებიც ითმენდნენ. ამ დღეებში კი ბერმა ყველას უჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან, აღმასრულებელი ფურცლები გამოიტანა და ამავე დროს უცხადებს ბევრს, სახლები აიღეთ, მიწა დამიცალეთო. თუ რა უბედურებაში იქნებიან საბერო მიწებზე მცხოვრებნი, მკითხველიც მიჰხვდება.

კარგს იზამდნენ კავკასიელი დეპუტატები, ყურადღებას მიაქცევდნენ ამ საქმეს და იშუამდგომლებდნენ, სადაც ჯერ არის, ეს სამონასტრო მამულები საკუთრებად დღევანდელ მოიჯარადრეებს გადაეცეთ შესაფერ ფასად.

—

სიღნაღში არსებობს სამოქალაქო სასწავლებელი ვაჟთათვის და პროგიმნაზია ქალებისათვის. წელს სამოქალაქო სასწავლებელში თვენახევრით გვიან დაიწყეს სწავლა, შენობის შეკეთებისა გამო. დღემდე მესამე განყოფილებაში წელს მასწავლებელი არა ჰყავდათ და მოსალოდნელია ამის გამო უმრავლესობა ისევ იმ განყოფილებაში დარჩეს.

—

სხვა დროს ზაფხულობით თუ ვეღირსებოდით რამე წარმოდგენას, თორემ ზამთრობით სიღნაღში წარმოდგენას ვინ მოგვიწყობდა?! წელს კი პირობები შეიცვალა. მოაწყეს წარმოდგენა და რამდენიმე საღამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბ. ჯორჯაძის მიერ მოწყობილი საღამო სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის სახელოსნო განყოფილების სასარგებლოდ. წარმოდგენა და საღამოები ეწყობა ხოლმე სიღნაღის კლუბში რომელიც იტევს დაახლოვებით 140 სულამდის. ფასები მეტად აწეული და აქაურ დაბალ საზოგადოებას საშუალება არა აქვს დაესწროს. ხშირად აქაური წარმოდგენა ან საღამო ვისიმე ან კერძო პირის ან რაიმე დაწესებულების სასარგებლოდ იმართება და ფასები ერთი ორადაა გადიდებული. როგორც გავიგე, არსდება სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც მიზნათ აქვს შეიძინოს სახალხო სახლი, მოაწყოს სახალხო წარმოდგენები და სამკითხველო. ბოდბისხევშიაც აშენებენ სცენისათვის სახალხო სახლს.

—

ამ ოთხი წლის წინად სიღნაღში არსებობდა სამკითხველო. არვიცი რა მიზეზით დაიხურა. ახლა როგორც ამბობენ ნებართვა სამკითხველოსი ისევ ჰქონიათ, მაგრამ არ იციან ვის აქვს. წიგნებიც სამხედრო საკრებულოში ჰყრია თაგვები შეექცევიან. კარგს იზამდნენ ამ საქმის მეთაურნი საქმეს გამოაცოცხლებდნენ და თუ მათ არ შეუძლიათ სხვები მაინც იკისრებდნენ ამ საქმის მოწყობას, რადგან სამკითხველო მეტად საჭიროა.

სოფ. ნუკრიანი სიღნაღის ნაწილია. ნუკრიანის მცხოვრებნი სიღნაღის მოქალაქედ ითვლებიან, მაგრამ ქალაქის თავის ზრუნვიდგან თავისუფალია. მხოლოდ ხარჯის გაღებითაა ნუკრიანის სიღნაღის ნაწილი; სხვაფრივ კი არც კი ახსოვთ ქალაქის მამებს. კაზარმებიდგან დაწყებული მთელი ნუკრიანის ერთი გზა აყალო ტალახით გაითქვიფება ხოლმე და გავლა შეუძლებელი ხდება, მაგრამ რას იდარდებს ქალაქის თავი თითონ ნუკრიანში დილიჟნით ტფილისისკენ თუ გაივლის, თორემ აბა ის რას იკადრებს რომ ნუკრიანში ავიდეს და თავის თვალით ნახოს თუ რა გაჭირვებას იტანენ მცხოვრებნი უგზოობით.

ნუკრიანში არც წყალი აქვთ, მაგრამ ქალაქის მამებს ეს არ ანაღვლებს.

—

ქოტორიც, როგორც ნუკრიანი სიღნაღის ნაწილია, ქოტორი ტალახებით და უგზოობით სიღნაღზედ და ნუკრიანზედაც მაღლა სდგას. შემოდგომიდგანვე ქოტორის ქუჩებში ფეხით გავლა შეუძლებელი ხდება, ქიზიყში არც ერთი სოფელი არ არის ისე უპატრონოდ დატოვებული როგორც ქოტორი. გადის წლები და ერთხელაც არ ადის ჩვენი ქალაქის თავი ქოტორში.

18 თებერვალს პირველათ ეღირსნენ წარმოდგენას ქოტორელები. ითა-

---

*) ამაზე ლაპარაკი ხვა ალაგას გვქონდა (იხ. «სახალხო გაზეთი» №№ 226, 227, 231.)

მაშინ „ბატონი და ყმა“ და „ტიმოთეს ლედვი“. სამწუხაროთ ძალიან ცუდი დღე დადგა და ქუჩებში გავლა შეუძლებელი გახდა. თუმცა ბილეთი სახალხო იყო, მაგრამ საზოგადოება ძალიან ნაკლებათ დაესწრო, რადგან სხვა მხრიდან უგზოობის გამო ვერავინ მოვიდა და ადგილობრივი მცხოვრებნი კიდევ ძალიან ნაკლებათ იცნობენ წარმოდგენის მნიშვნელობას. წარმოგენამ მშვენივრათ ჩაიარა, მაგრამ მოთამაშეთ ემჩნეოდათ რომ უგულოთ იყვნენ საზოგადოების გულ-გრილობის გამო. თუმცა წარმოდგენა ზარალით დამთავრდა, მაგრამ დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთამაშე პირნი, რადგან ქონტორის ტალახებს არ დაერიდნენ და თავიანთი შრომა არ დაიშურეს ხალხის გასათვითცნობიერებლათ. ბ—თ.

თიანეთის ვითარება

თიანეთის მკვიდრნი გლეხკაცობაა. აქ შეხვდებით დროებით ვალდებულებსაც და სახაზინოსაც. როგორც ნაყმევი გლეხები ისე სახაზინონი ამ 20—25 წლის წინად წყნარად სცხოვრობდნენ და არავისთან არ იყო შერყეული მათი ეკონომიური ცხოვრება. ხალხი მიწის დამუშავებას ეტანებოდა, რომელიც მის შრომას უხვად აჯილდოებდა. მამულის სიუხვე ხალხის კეთილდღეობას ხელს უწყობდა, რადგანაც იძლეოდა სანაქებო მოსავალს ასე, რომ ასაზრდოებდა არა მარტო თვით დამმუშავებელს—არამედ სხვა გარეშე პირთაც. ბევრჯელ გამოუკვებნია თიანეთს კახეთისა და ქიზიყის დამშეული ხალხი. რამდენიმე ოჯახი ეხლაცაა ერწო-თიანეთში დარჩენილი, ქიზიყიდან მოსულნი დიდ შიმშილობის დროს.

ამ 20—25 წლის განმავლობაში-კი თიანეთის გლეხ-კაცობა კონებრივად ისე დაეცა რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. აქამდე სხვისა მასაზრდოებელი და მარჩენელი, თავათ დაწრწოდა აქეთ-იქით დღიური სამუშაოთი ლუკმა პურის მოსაპოვებლად.

ხალხის კონებრივად დაქვეითება გახლავსთ უმამულობა. რა იქნა მამული? განცვიფრებით იკითხავს მკითხველი?

1885 წლის იანვრის 9-ში კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა გუბერნატორს მიჰმართა თბილისის ახლო-მახლო ჯარებისთვის საბანაკო ადგილები უვარგისია და ზაფხულობით ჯარის დასაბანაკებლად შესაფერი ადგილი დაათვალიერეთო. ამისთანა ადგილად თიანეთის გარშემო მდებარე მამულები მოიწონეს,—რომლის დასათვალიერებლად, და შესაძენად იმავე წელს დანიშნულ იქმნა კომისია გენ. ლეიტ. თ. ზ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრებათ იყვნენ თიანეთის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი, გენ. ლეიტ. თ. ამილახვარი, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი სტ. სოვეტ. გამრეკელი და სამხედრო უწყების მხრიდან პოლკოვნიკი პოტოცკი. კომისიამ მოიწონა თიანეთის მამულები და დაადგინა, ჯარისთვის საბანაკოდ 2200 დღიურია საჭიროვო. ეს მამულები ეკუთნოდა ზოგი სახაზინო გლეხებს, ზოგი სანადელოები იყო, ზოგი ეკუთვნოდა კერძო მესაკუთრეებს და მომეტებული ნაწილი-კი კნ. ბ. ბარათაშვილისას (ჩოლოყაშვილის ქალს) და თ. ყარალაშვილებს.

კომისიამ დღიური სახნავი მიწა 30 მანეთი დააფასა, ტყიანზე კი—15 მ. კომისიამ გავლენიან პირების დახმარებით თიანელი გლეხ-კაცობა დაითანხმა და ხელი მოაწერინა. მსხვილმა და წვრილმა მესაკუთრეებმა რაოდენობისა დაგვარად, მამულის ღირებულება მიიღეს, სახაზინო გლეხებმა კი მიიღეს ისევ მამული ერთი ორად იმაზე მეტი, რამდენიც ჩამოერთვათ კომისიამ მათთვის თ. ჭავჭავაძეებისაგან შეისყიდა ტყე და ველი ს. საყარაულოს მახლობლად—ევეენტაში—ადგილი ყოვლად უსარგებლო და უვარგისი მოსავლისათვის. თიანეთიდან ეს ადგილი 10—12 ვერსის მანძილზეა. გამაგრდა მხოლოდ მცირედი ჯგუფი გლეხებისა ეგრედ წოდებული „სანადელო გლეხები“. ამათ გამოუცხადეს კომისიას, ჩვენი „ნადელები“ ჩვენთვისაა საჭირო და ვერავის ვერ დავუთმობთო. კომისიამაც ძალა აღარ იხმარა და თავი მიანება. მაგრამ მათი სანადელო მამულები მოქცეულია საბანაკო მამულების შუაში და გლეხებს ზაფხულობით, როდესაც მკა-თიბვისა და ხვნის დრო იყო გლეხ-კაცობას არ შეეძლო დღისით თავიანთ მამულში წასვლა სამუშაოთ, რადგანაც ჯარი ყოველ დღე სროლაში ვარჯიშობდა და გზები შეკრული ჰქონდათ უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

ამ ნაირად თიანელ გლეხ-კაცობას მოუშალა თავის მამულებში ფეხ-გაშლით ცხოვრება 1886 წლიდან. ცარიელს მამულში საქონელსაც კი აღარ აშვებინებდნენ. ვინ მოსთვლის რამდენი შეტაკება მომხდარა ჯარის-კაცებსა და გლეხებს შორის ამის გამო და ბევრჯელ არა-სასიამოვნო ამბით გათავებულა. ამას მოწმობენ ურიცხვი ოქმები და განაჩენები, რომლებსაც ადგენდა ხოლმე მაზრის უფროსი, ანუ რომელიმე მისი ხელ-ქვეითი, ჯარის მხრივ აფიცრისა და ხან კომისიის თანადასწრებით. ეს საბუთები დღესაც მოიპოვება სამაზრო სამმართველოს არხივში და ზოგი კი იგზავნებოდა კავკასიის სამხედრო საოლქო სამმართველოში განსახილველად, რომ დაზარალებულთ სამხედრო უწყების მხრიდან წანახედის ფასი მისცემოდათ. ასეთს გარემოებაში ჩაცვივნულმა გლეხ-კაცობამ ძალა უნებურად, გაიყიდა თავისი მასაზრდოებელ-მაცხოვრებელი საქონელი და დღიურ მუშაობით იწყო ოჯახის შენახვა და ყველა ხარჯების გასტუმრება. ბოგანოდ დარჩენილი გლეხი ადგილობრივ რომ ვერ შოვობდა საკმაო სამუშაოს, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამუდამოთ ან დროებით თავისი საცხოვრებელი ადგილი და იყო გარეშე სოფლებში გადახვეწილი, სადაც უფრო უმჯობესად მოაწყობდა თავის ქამ-კარ ძრეულს ცხოვრებას; ზოგი კახეთში გადასახლდა და ზოგიც კავკავში, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდენ, რადგანაც ვერ შეითვისეს სხვა ადგილების ჰავა და უდროვოდ სიკვდილს ისევ შიმშილი ირჩიეს. გამრავლდა თიანეთში უსაქმო ხალხის რიცხვი და უსაქმურობას კი ცუდი ყოფა-ქცევა მოჰყვა. თავი იჩინა შეუპოვარმა ქურდობამ, რაც აქამდე არ იყო. მეზობელი მეზობელსა პარავდა: ქათამს, ბატს, ინდაურს, ფქვილს, პურს და სხვა. იქამდე შეუპოვარნი იყვნენ მაშინდელი ლაჩის რაინდები, რომ სამაზრო ადმინისტრაციის თვალ წინ სტეხდნენ დუქნებს და ნაპარევს ნივთებს სამმართველოს გალავნის ბურჯებში ჰმალავდნენ.

1903 წლიდან თიანელების ცხოვრებას ცოტა ნირი ეცვალა: ქურდების რიცხვი შემცირდა, ზოგი მოკვდა, ზოგი დაიჭირეს, ზოგიც დაბერდა და სირცხვილის გამო თავი მიანება ძველ ხელობას. ხალხი მყუდრო ცხოვრებას მიეცა და ყველამ დაიწყო მიწის დამუშავება.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ თიანეთში ჯარი აღარ მოსულა, მთელი მათი მამული ცარიელი დარჩა. უმამულობით დამშეულნი თიანელები მიესივნენ საბანაკო მამულებსა და რაც-კი ფარსაგი მამული იყო სულ გადახნეს. დიდი ხნის დასვენებულმა მამულმა უხვი მოსავალი მოიყვანა, რამაც წაახალისა ხალხი და გაამხნევა. გუთანს მოჰკიდა ხელი იმანაც-კი ვისაც თავის დღეში მიწის დამუშავებისა არა გაეგებოდა-რა. ასე გასინჯეთ მოსამსახურე და მოხელე პირნიც-კი შეუდგნენ მეურნეობას.

1909—1910 წლებში სიჯარო ვაჭრობით გაიყიდა რაც საბანაკო ადგილებში შენობები იყო, გარდა სამეფო დარბაზისა. ამ გარემოებამ დააიმედა თიანელი ხალხი, რომ ნამდვილად ამიერიდან თიანეთში აღარ მოვა ჯარი საბანაკოდაო. ამის გამო შარშან მოილაპარაკეს შეისყიდონ ეს საბანაკო მამულები სამხედრო უწყებიდან, მარტში განაჩენი დაადგინეს და ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალს გადასცეს, რათა მას კავკასიის სამხედრო უწყების წინაშე ჯეროვანი შუამავლობა აღეძრა, რომ თიანელებისთვის ეს მამული მიეყიდნათ. დაფაცურდა, ზოგმა საქონელი გაყიდა ზოგმაც ვალი აიღო და შარშან ზაფხულში 5000 მანეთამდე შეაგროვეს, მაგრამ ამაოდ. ივლისის ბოლო რიცხვებში მომრიგებელ შუამავალს თ. დ. ნ. ჭავჭავაძეს მოუვიდა პასუხი, რომ მაგ მამულების გაყიდვა ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არა აქვს სამხედრო უწყებას და თუ თიანელებს უნდათ, იჯარით აიღონ ერთის წლის ვადით-სახნავი მიწა დღიური 1 მანეთად, საძოვარი-კი 50 კაპ. ამან ძალიან დაალონა თიანეთის ხალხი, მაგრამ რა გაეწყობოდა, უდედობას დედი-ნაცვალი სჯობია, ისევ იჯარით აიღეს ხსენებული მამულები ერთის წლის ვადით, რაზედაც რასაკვირველია დაიწერა შესაფერი ხელწერილები.

აი ამ ნაირს გაჭირვებაში იყო და არის დღესაც თიანეთის ხალხი უმამულობით და არ ვიცი რას მოუტანს მათ მომავალი. თუ ეს მამულები სამხედრო უწყებამ ისევ თავისთვის დაიგდო საგარაკოთ და ან სხვას ვისმეს კერძო პირს და ან უცხო ტომის ხალხს ჩაუგდო ხელში, მაშინ თიანელებს ისევ ის გაჭირვება ცაადგება და იქნება უარესიც. მაშინ თიანელებმა უნდა აიღონ გუდა-ნაბადი და წავიდნენ. ადგილების საძებრათ, მაგრამ სად? თუნდ სავსე ჯიბეცა ქონდეს სად მოხელავს თავისუფალ ადგილს. მთელი ალაზნის მიდამოები ხათავიდან დაწყებული ქარამდე, როგორც ვიცით, ახალ მოსახლეებით გაივსო. თუ სადმე თავისუფალი ადგილი იპოება, ისიც ტყიანი და ჯაგიანი,—რომლის გატეხა-გასუფთავებას დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდება. მაშასადამე თიანელებმა და მათ გულ-შემატკივართ უნდა იქონიონ ფხიზელი ყურადღება, რომ ეს მამულები არ წაუვიდეთ ხელიდან. ეს საქმე უნდა იკისროს თიანეთის ინტელიგენციამ. **მ—ე თიანელი.**

რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ხარბინი. უცნობებმა ერთი ყარაული სალდათი დაჭრეს. სალდათი კუნძიანის ახლოს იდგა. ამას ჩინელებს აბრალებენ.

ვაივუბუს ევროპიელ ელჩებისაგან ამბავი მოუვიდა: რუსეთი ახალ პირობების გამოგზავნას აპირებსო.

რუსების მოსაზღვრე ჯარს ჩინელები თოფს ყოველდღე ესვრიან. 7 მარტს, სადგურ „მანგოუ“ სთან მოსაზღვრე დარაჯებს სროლა აუტეხეს. მსროლელნი, როგორც იტყობა, ჩინეთის პოლიციელნი იყვნენ. 8 მარტს რუსებს, ქილაქიდან ორი ვერსის მანძილზე, ჩინელებმა სროლა აუტეხეს. 6 მარტს, ახალ ჯარის ვარჯიშობის დროს, ჩინელებმა თოფის სროლა აუტეხეს.

9 მარტს, ჩინელების გაწრთვნილმა ჯარმა ასტეხა სროლა, რაც იმას ამტკიცებს, რომ დამოკიდებულება გამწვავდა. რუსის მმართველებმა დაოტაოს დაბეჯითებით მოსთხოვეს პასუხი, მაგრამ დაოტაომ პასუხიც არ გასცა. რუსის მმართველები სოლმოთი დაოტაოსთან მივიდნენ, რუსებს მუსიკით დაუხვდნენ. დაოტაო დაჰპირდა, საქმეს გამოვიძიებო.

პეკინში საკარხნო ქალაქ ლანგროუდან იტყობინებიან: ჩინეთის სამხედრო მთავრობამ ჯარისათვის საბნები და მატყლის სხვა და სხვა ნივთები დაიკვეთა. შეკვეთილი საჩქაროა და ამიტომ დღე-და-ღამე მუშაობენო.

ჯარების მოძრაობა გარკვეულ სისტემით სწარმოებს. ჯარების უმთავრესი ადგილი შანხაიგუანეა. ჯარების მოძრაობას, ჩინურ გაზეთების ცნობებით ჩჟენრუტუნი (სრული გენერალი) ჰხელმძღვანელობს. ირანკოს მიდამოებში პოლკოვნიკი იოტინლუნი რაზმებს აწყობს და ხუნხუზებთან საბრძოლველად ჰგზავნის. ხუნხუზები თავისას არ იშლიან. მცხოვრებლები ამღვრეულ გუნებაზე არიან. ქალაქ ხარბინში შემაშფოთებელი ხმები დადის.

ვლადივასტოკიდან იუწყებიან: გენერალ გუბერნატორმა გონდატტიმ ჩინელების რეგისტრაციაზე ბრძანება გამოსცა: ყოველი ჩინელი ლითონის ან თოკის სამ ჯურით ნიშან დადებული უნდა იყვეს. ვინც ამას არ აასრულებს და ვინც 1 მაისამდე უსამჯუროდ იქნება, გააძევებენ.

შანხაიში, დასავლეთ პალში ჩინელმა პატრიოტებმა კრება გამართეს. კრებამ 5 საათს გასტანა. 1400 კაცი დაესწრო. ჩინელები სცდილობდნენ უცხოელები არ შეჰპაროდნენ. ერთმა მეთაურმა აღნიშნა, ნაციონალურ თავ-დაცვის მოწყობაა საჭიროვო. გადასწყვიტეს სამშობლოს მოყვარე ყოველ ჩინელს ამის შესახებ დადგენილება დაურიგდეს და მოეთხოვოს, ყოველ მოსაზღვრე ქალაქში სამხედრო რაზმები მოაწყონ და საბრძოლველად მზად იყვნენ.

ჩინელების სიგანელი პრეზიდენტი დეპეშით იტყობინება: ჩინეთის თურქესტანშივერი რუსია და ეს მშვიდობიანობას ხელს უშლისო. პრეზიდენტი რუსების წასვლას თხოულობს. ამის თაობაზე პრეზიდენტი პეკინელ მთავრობასა სთხოვს კოროსტოვეცს მოელაპარაკეთ, რათა მან რუსებს თურქესტანიდან გასვლა უბრძანოსო.

კულჯიდან ამბავი მოვიდა ჩინეთ-თურქესტანის გზაზე პეკინსა და სინანფუს შუა საჩქაროდ ტელეგრაფი გაჰყავთო.

ხარბინიდან იტყობინებიან: ამ უკანასკნელ ათ დღეში ჩინელებმა მატარებლის გადაბრუნება ხუთჯერ სცადეს და რუსის მოსაზღვრე ჯარებს სროლა ოთხჯერ აუტეხეს. ამის გამო ამურს-იქითა მხრის უფროსმა განკარგულება მოახდინა: ფხიზლად იყავით და სროლაზე სროლითვე უპასუხეთო.

მოწერილი ამბები

დიდ-ენაგეთი (ტფილისის მაზრა). ჩვენკენ ძალიან ბევრი მინდვრის თაგვი გაჩნდა, გვეგონა ცალკე ეს თაგვი, ცალკე საშინელი ხმელი სიცივეები მოსავალს სულ დაგვღუპავდა, მაგრამ ახლად აღმოჩენილ მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. აქაური ვენახ-ბაღები მიწის სიღარიბით მეტად შეწუხებულია. ბევრია ისეთი მეკომური, რომ მიწა ერთი ფეხის დადგმაც არა აქვს. ეს მიწის სიღარიბე უფრო საგრძნობელი გახდა, რადგანაც ასურეთის ნემეცებმა შარშან გაზაფხულზე ჩამოართვეს აქაურებს ნადელები. დიდენაგეთის საზოგადოებაში მოსახლეობენ სოფ. ხაშისმი საგანიანთ მოიჯარადრეებად გუდამაყრელი მთიულები. ესენი ეხლა სცდილობენ იყიდონ საგლეხო ბანკისაგან მამული „ბუღდულეთი“, ნაწილი ხვედრი ფულისა წინასწარ შესატანი ამ წლის მარტის 10-ში კიდეც წარადგინეს ბანკში.

დიდენაგეთში დიდი ხნის ერთგული სახე სამრევლო სკოლა არსებობს. ახლად დანიშნულს მასწავლებელს ქ. ნინა ოქროშირიძეს სწავლის საქმე კარგად მიჰყავს. 19 თებერვალს ბატონ-ყმობის გადავარდნის სახსოვრად მან გამართა სალიტერატურო საღამო. ბავშვებმა გრძნობიერად წაიკითხეს და იმღერეს ქართული ლექსები და სიმღერები. ხალხი ძალიან მოხიბლად დაესწრო და დიდი მადლობა გადაუხადა უფროსს ქ. მასწავლებელს. სასურველია რომ ჩვენი სახალხო სკოლის მასწავლებლები რუსული ენის სახელმძღვანელოდ ხმარობდნენ გოგებაშვილის „Русское слово“-ს და არა შედეგედის სახელმძღვანელოებს და კიდევ სხვებისას. **ზოგველი.**

ს. ხონჭიორი. (რაჭა). დასავლეთ გუბერნიის უამინდობამ ჩვენი მხარე აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ ბოლო ხანებში თოვლმა დნობა დაიწყო, მაგრამ სამაგიეროდ ზვავებმა დიდი ზიანი მიაყენა რაჭა-ლეჩხუმს. მაგრამ ამ უბედურებას კიდევ ემატება ის ამბავი, რომ ზედ კიდევ არ დართობილა გადასახადების აკრეფა. ხალხი ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია, სხვის დახმარებასაც საჭიროებს. საგუბერნიო მმართველობაც კი შეუდგა შემოწირულებათა შესაკრებად. ამისთანა პირობებში გადასახადების მოკრეფა ძალიან უერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს მცხოვრებლებს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ვისგანაც ეს არის დამოკიდებული დროებით შეაჩერებს გადასახადების მოკრეფას.—სოფელ ხონჭიორში პირველ იანვრიდან გაიხსნა ორ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი; სწავლა ჯერ ჯერობით პირველ დაწყებით სასწავლებელში სწარმოებს. ზაფხულისთვის ახალ შენობის აგებას აპირებენ. სოფელი ძალიან პატარაა და ამიტომ შესაძლებელია ისეთი შენობა ვერ აგონ, რანაირიც საჭიროა სკოლისთვის. ამიტომ კარგს იზამს ბ-ნი თ. ყორღანია, თუ გვიშუამდგომლებს, ვისთანაც ჯერ არს, და დაგვეხმარება, რომ სკოლისთვის შესაფერი შენობა გააშენოს სოფელმა. **რაჭველ-ოკრიბელი.**

ქ. ახალციხე (სამცხეთის წლიური კრება). 13 მარტს თვით-მმართველობის დარბაზში ქართველთა სამცხეთის წლიური კრება მოხდა, რომელზედაც უნდა განხილულიყო 1) მთელი წლის ანგარიში 2) სამცხეთისათვის შენობის შეძენა 3) გამგეობის არჩევნები და სხვა წვრიმალი საკითხები. 36 წევრიდან მხოლოდ 9 წევრი გამოცხადდა, რის გამოც კრება უკანონოდ უნდა ჩათვლილიყო. მართლაც უკანონოდ ჩათვალეს, მხოლოდ ერთი ისეთი საკითხი გადასწყვიტა 9 კაცის კრებამ, რომლის უფლება არა თუ ასე მცირე რიცხოვან კრებას, არამედ სრულიც რომ ყოფილიყო. ეს არის გამგეს არჩევა მხოლოდ ერთი წევრის, როგორც ვიცით ძველი გამგე ბ. კანდელაკია. ჩვენ არ ვიცით რამ აიძულა ბ. კანდელაკი რომ ესეც ამბობდა: „გამომცვლელთ თორემ იძულებული ვიქნები დღესვე თავი დავანებო რის გამო სამცხეთის დაკეტვა მოუდიო“. არჩეულ იქნა ორი, თუ ერთმა უარი სთქვას, მეორე მაინც დასთანხმდებაო. ჩემის აზრით საჭირო იყო ხელ-ახალი კრების მოწვევა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ უსათუოდ სულ ახლები აირჩიონ, მაგრამ საზოგადო კრებამ ყველანი ახლად უნდა აირჩიოს. რომლის წინაშე ისინი ვალდებული იქნებიან უფრო რიგიანად ასრულონ. **ხვანჩა.**

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მარტი.

საზღვარ-გარედ.

სტამბოლი. იემენიდან იტყობინებიან: არაბებმა ქაბუ და ასირე აიღეს. შემდეგ იერიში ებუზე მიიტანეს, მაგრამ დიდის ზარალით მოიგერიეს. ჯარები ხოდაიდუსა და სანასაკენ გზას იკაფავენ. მათ მენახამდის ერთი მუხლი გზა გაიარეს. თან არაბებს იგერებენ. დიდმა ბრძოლამ, რომელიც ხეჯილთან მოხდა, ორი დღეს გასტანა. არაბები გაიქცნენ, მაგრამ ახალი ძალებით უკან დაბრუნდნენ. 12 მარტს ბრძოლა იქავე განახლდა.

ვენა. ხეიხსრატის კრების ვადა გააგრძელეს.

ბემბერგი. ბიშბერგში გაფიცულმა მეაგურე მუშებმა უწესოება მოახდინეს. ქარხნის ფანჯრები ჩალეწილია. ქარხნის დირექტორი და მისი ოჯახობა გაიქცა. დაზარებულმა ჟანდარმერიამ თოფები დასცალა. მუშები ისევ ღელავენ.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში კიდერლერ-ვეხტერმა უარ-ჰყო ის ხმები, ვითომც გერმანიის მთავრობას ალჟეზირასის აქტებში ჩარევაზე უარი ეთქვას. ამ აქტებს მიზნად აქვთ სხვა სახელმწიფოებს მაროკოს დაპყრობაში ხელი შეუშალონ. შემდეგ მინისტრმა სთქვა, მთავრობა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მცირე წლოვანთა ჩარიცხვას არ დასთანხმდება. მთავრობა ამისთანა პირთა გაცემას მოითხოვსო. საფრანგეთის მთავრობამ ცნობა გამოგზავნა, რომ უცხოელთა ლეგიონში ჩაწერა ძველებური წესით სწარმოებს. 18 წლისაზე პატარებს არ იღებენო.

თეირანი. ნეჯეფის მუშტეხიდებს სპარსეთის სამღვდელოებამ დეპეშით უპასუხა, რომ იგი რუსეთის საქონლის ბოიკოტს ვერ გამოუცხადებს სამღვდელოების აზრით ამისთანა საშუალებანი სასურველი არ არის და რუსეთთან საუკეთესო განწყობილება უნდა ვიქონიოთ; ეხლა ნეჯეფის მუშტეხიდები დეპეშით სიხარულს აცხადებენ, იმის შესახებ, რომ ხალხი და მთავრობა რუსეთით კმაყოფილიაო. მათი დეპეშა სპარსეთის ყველა დიდ ქალაქებში გაიგზავნა.

ვენა. იტალიის შეერთების 50 წლის იუბილეის გამო ერენტალმა აბაციიდან იტალიის სამინისტროს მოსალოცი დეპეშა გაუგზავნა. ამავე დროს ავსტრო-ვენგრიის ელჩს დაევალა იტალიის მთავრობას ავსტრო-ვენგრიის მთავრობისაგან მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს.

რომი. დილის 11 საათზე, სენატში კაპიტოლიაში სადღესასწაულო კრება გაიმართა. კრებას დაესწრნენ მეფე მეუღლით, სადიპლომატო კორპუსი, უმაღლესი მთავრობა და სენატისა და პალატის პრეზიდენტები. 10 საათზე, კაპიტოლიის კოშკიდან ისტორიულ ზარის რეკა მოისმა. მეფე-დედოფლის მობრძანებას ხალხი ოვაციით და ჰიმნით დაუხვდა. მეფემ ბურგომისტრთა სასალამო სიტყვაზე პასუხი გასცა.

რომი. სენატის კრებაზე, მეფემ დიდი სიტყვა სთქვა. იტალია და მისი სატახტო ქალაქი რომი ეკლესიისა და სახელმწიფოს მშვიდობიან კანწყობილების მაგალითს გვაძლევსო. სახელმწიფო სარწმუნოებასა და მეცნიერებას სრულ თავისუფლებას ანიჭებსო. ეს თავისუფლება, მოსამზადებელ მუშაობისათვის აუცილებელიაო. სიტყვა სიხარულით მიიღეს. მეფე-დედოფალი ოვაციებით გააცილეს. მეფე-დედოფალი სასახლის აივანზე რამდენჯერმე გამოვიდნენ. გაზაფხულის მშვენიერი დარია. მეფემ ბევრ ხელმწიფეებისაგან მისალოცი დეპეშები მიიღო. ასეთივე დეპეშა ოსმალეთის სულთანმაც გაუგზავნა იმპერატორი ფრანც-იოსები დიდი გულწრფელობით ულოცავს და ორივე სახელმწიფოთა შემაერთებელ მეგობრობას ემუდარება. მეფე-დედოფლის თანადასწრებით საერთაშორისო სამხატვრო გამოფენა გაიხსნა, გარეშე საქმეთა მინისტრმა ხელმწიფეებს და ერებს, ვინც კი გამოფენაში მონაწილეობა მიიღო მადლობა გამოუცხადა.

ვენა. დეპუტატთა პალატა. უმრავლესობის საერთო კრებაზე მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, სლავიანთა სურვილი, კაბინეტის გადაყენებისა არა'ს გზით არ ასრულდებაო. სლავიანელნი მთავრობისა და პალატის უმრავლესობის დამარცხებასა და მათ სახელის დამცირებას სცდილობენ. მთავრობამ გადასწყვიტა, თუ სლავიანელნი თავიანთ განზრახვაზე ხელს არ აიღებენ, პარლამენტის მოქმედება შეაჩეროს. სლავიანთა კავშირმა გადასწყვიტა ძველებურად იმოქმედოს. მას პარლამენტის მოქმედებათა შეწყვეტა ახარებს; ამას დიდ გამარჯვებად სთვლიან და იმედი აქვთ, რომ პარლამენტს მალე დაითხოვენ. ჩეხებს იმედი აქვთ, რომ ახალ არჩევნებზე ისევ ძველებს აირჩევენ და სახელმწიფოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა და სესხი დამტკიცებული იქნება. „კორესპონდენტ-ბიურომ“ 14 მარტს წერილი დასტამბა. წერილში ამბობდა: რომ იმპერატორი იძულებული იყო რეისრატის მოქმედება შეეწყვიტა, რათა ოპოზიციისათვის ხელი შეეშალა. ოპოზიციაც ხარჯთ-აღრიცხვას არ ამტკიცებდა.

სტამბოლი. პალატამ საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა, რომელიც 1.940.000 გირვანქის გაღებას თხოულობდა. ფლოტის უმცროს აფიცრებს ჯამაგირი ნახევარზე მოუმატეთ. გერმანიისაგან ნაყიდ ორ ჯავშნოსანით მინისტრი კმაყოფილია. პალატა იტალიის პარლამენტს იუბილეიზე მიესალმა.

ბაღდადი. მას შემდეგ, რაც ნაზიმ-ფაშა გადადგა, შესამჩნევი უკმაყოფილებაა. ყაჩაღობა გახშირდა. კარბელაში, ნასრიჯის ოლქში, სამოქალაქო ომია.

რომი. ზარბაზნების სროლამ შუაღამისას დღესასწაულის დასაწყისი აცნობა. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. ყველგან ყვირიან: გაუმარჯოს იტალიას! გაუმარჯოს რომს! რესტორანებსა და კაფეებში პატრიოტული მანიფესტაციები იმართება. ბევრი სახლი გაჩირაღდნებულია.

ბარცელონა. ტრამვაის გაფიცულ მუშებმა ერთი გამვლელი მუშა დაასახიჩრეს. დარაჯებამდის ჯარმა წესიერება დაამყარა.

ნიუ-იორკი. ცელულოიდოლურ ქარხანაში გაჩენილმა ცეცხლმა 150 კაცი იმსხვერპლა. დაღუპულთა უმრავლესობა — საზღვარ-გარეთიდან მოსული ქალებია.

ტოკიო. იაპონური გაზეთები სტოლიპინს თანამგრძნობ წერილებს უძღვნიან. სტოლიპინის მიერ თხოვნის უკან წაღებას ლიბერალურ მთავრობის გამარჯვებათ და რეაქციონურ პარტიის დამარცხებადა სთვლიან.

ლონდონი. „სტანდარტი" სწერს: სტოლიპინს ეხლა შეძლება მიეცა თავისი საქმე განაგრძოს. ამ საქმეს იგი 5 წელიწადი ღირსეულად ეწეოდა და მის შედეგს იმპერიისათვის განსაკუთრებული ღირებულება ექმნებაო. „დეილი-ტელეგრაფი" სტოლიპინს აქებს და ამბობს, უკანასკნელი ცნობები მომავლის ყველა იმედებს გვირყევს. ეტყობა სტოლიპინმა ისეთი მოქმედება ირჩია რასაც ადვილად ვერ შეასრულებს. „ტაიმსი" „დეილი ტელეგრაფს" ეთანხმება და ამბობს, რომ უცხო ქვეყნის მეთვალყურე რიგიანად ვერას იტყვის ამ საქმის შესახებო.

რუსეთი

პეტერბურგი. ბრძანება დასავლეთის 6 გუბერნიაში ერობათა შემოღება იმ რედაქციით დარჩა, რომელიც მან სახელმწიფო სათათბიროში მიიღო.

ცარიცინი. ილიოდორმა ღამე დიდ-ძალ ხალხს სთხოვა: ხვალ დილით სურსათით მოდითო. მონასტრის ჭის-კარი უნდა ჩაიკეტოს. გარეშეებთან კავშირი კარებში დაყოლებულ პატარა ფანჯარიდან ექნებათ. პოლიციელებსა და საეჭვო პირებს —სთქვა ილიოდორმა—არ შემოვუშვებო. მისი თაყვანის მცემლები აღბრთოვნებულნი არიან და ყოველნაირ დახმარებასა ჰპირდებიან. საღამოზე გუბერნატორი მოდის.

პეტერბურგი. გუჩკოვმა უქვეშევრდომილესი მოხსენება წარადგინა. იგი სათათბიროს თავმჯდომარეობაზე უარს ამბობს.

სინოდის სამოსწავლო კომიტეტს სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების ახალი წესი შეიმუშავა.

სინოდმა ტელეგრაფით მიწერილობა გაუგზავნა სამარის ეპისკოპოსს, პირადად მოელაპარაკე ილიოდორს და თავის სამსახურის ადგილზე დაბრუნება ურჩიეო. თუ საჭირო გახდება, ილიოდორეზე საექიმო გამოკვლევა მოახდინეთ: სულით ავადმყოფი ხომ არ არისო.

უმაღლესის ბრძანებით, სომხების სარევოლუციო პარტიის „დაშნაკციუთუნი"-ს წევრების საქმის გამოძიება დასრულდა და განსახილველად სენატის განსაკუთრებულ უწყებას გადაეცა. განხილვა წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდება. წევრებს მთავრობის წარმომადგენელთა დახოცვა ჰბრალდებათ.

ახლო მომავალში სათათბიროს წარედგინება კანონ-პროექტი დასავლეთ ციმბირსა და დასავლეთ ევროპის ეკონომიურად დაკავშირებისა.

მოსკოვი. გრადონაჩალნიკმა გაზ. „რუსკოე სლოვო" 100 მან. დააჯარიმა, იმ დეპეშის დაბეჭდვის გამო, რომელიც 20 თებერვალს ტამბოვიდან იყო გამოგზავნილი. დააჯარიმა აგრეთვე „სტოლეტნაია მალვა". ამ გაზეთის 162 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი: „მოწყენილობით".

იალტა. დიდი ხნის სიცივეების შემდეგ თბილი ამინდები დაიჭირა. 10 გრადუსი სითბოა.

კრაკოვი. მეცნიერების რუსულ აკადემიის წევრი პროფესორი სოკოლოვი გარდაიცვალა.

შავი ჭირი.

ოდესა. რაკი პიერის უბანში ჭირიანი თაგვები გაჩნდნენ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ბეღლებს იატაკი და კედლები ისეთი გაუკეთდეს, სადაც თაგვი ვერ გავა. საბჭოს კომიტეტმა ეს დადგენილება არ მოიწონა დიდ ხარჯს გამოიწვევსო.

ხარბინი. 14 მარტს 2 გვამი იპოვეს. ავად გახდა 2.

ტფილისის განაპირა უბნები

ტფილისის განაპირა ადგილები მეტად უყურადღებოდაა დატოვებულია ბინადარნი ათასნაირს გაჭირვებას ითმენენ. მაგალითად, ეგრედ წოდებული მახათა, სადაც მოსახლეობს ღარიბი და მომუშავე ხალხი. აქ მცხოვრებლებს არა აქვთ წყალი, ამიტომ რამდენიმე წელიწადია შესჩივიან ქალაქის გამგეობას თავიანთს გაჭირვებას, სთხოვენ წყლის გამოყვანას, მაგრამ ამაოდ. აქ გვაქვს ერთი წყარო, რომელიც წარმოადგენს მღვრიე აყროლებულ წუმპეს. წაღის ყელები, კალოშის ძირები და ათასნაირი სხვა უსუფთაობა და ნაგავი ყრია ამ სასმელ წყალში და სწამლავს. ხან ეს წუმპეც მთლად ამოშრება ხოლმე და ეს ამოდენა ხალხი რჩება უწყლოდ იმ დროს, როდესაც ქალაქის თვითმმართველობა ხოლერისა და შავი ჭირის მოლოდინშია. საჭიროა ამ გარემოებას ეხლა მაინც ყურადღება მიაქციოს და უზრუნველჰყოს მახათის მცხოვრებლები გადამდები სენის გაჩენისაგან.

მახათელი.

ნარევი

სოციალ-დემოკრატული ბანკი.

ავსტრიის სოც-დემოკრატ დეპუტატის თაოსნობით არსდება „სოციალ-დემოკრატიული ბანკი", რომელსაც საკმაო თანხა უკვე აქვს. ეს ბანკი უსარგებლოდ მისცემს სესხს კოოპერატიულს და საურთიერთო სესხის საზოგადოებათ.

ინგლისის დატაკთა რაოდენობა.

ინგლისურ სტატისტიკის ცნობით, 1908 წელს საზოგადოებისათვის დახმარება უთხოვნია 1,709,436, ესე იგი 1000 მცხოვრებზე 47,7.

ყველაზე მეტი დატაკი ლონდონში ყოფილა. ლონდონი ყოველწლივ 15,800 ღარიბსა ჰკვებავს.

წერილი რედ. მიმართ

სამშობლოს დაშორებულს ქართველ ახალგაზრდობას ჩვენს ქვეყანასთან ჟურნალ-გაზეთობა გვაკავშირებს. ამიტომაც დიდ მადლობას სწირავს კიევის ქართველი სტუდენტობა ყველას ვინც ჩვენს ბიბლიოთეკას სხვა და სხვა წიგნები შემოსწირა. ამ ხანად პატივცემულმა მ. ჯანაშვილმა შემოგვწირა შემდეგი წიგნები:

1. „ქართული გრამატიკა", შედგენილ ანტონ პირველის მიერ; 2. „ქართული ლექსიკონი" ს-სულხან ორბელიანისა, გამოცემული ერისთავის რედაქტორობით; 3. ათონის ივერიის მონასტრის 1074 ხელნაწერი; 4. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი. შედგ. რ. დ. ერისთავისაგან; 5. „Абхазія и Абхазцы" მ. ჯანაშვილისა; 6. ქართული მწერლობა, წიგნი პირველი მწერლობა მე-X საუკუნემდი—მისივე; 7. Грузинскія обители внѣ Грузіи—მისივე; 8. ნაშრომი (ორი სხვა და სხვა ეგზემპლიარი)—მისივე; 9. ცხოვრება წმინდა ნინოსი; 10. Каталогъ церковнаго музея Грузинскаго Экзархата; 11. Тифлисское церковное древнехранилище; 12. Завѣщаніе Царя Давида Возобновителя — თ. ჟორდანიასი; 13. Картлисъ Цховреба— ჯანაშვილისა.

სამკითხველოს კომისიის მინდობილობით

ქ. ჩხეიძე.

გამოსადეგი ცნობა

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (მგზარზოხის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. ქიმში).

კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მომწყობი მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ტფილისის საათზეა ნაგარაუდევი)

ტფილისიდან გადიან:

ბათუმისკენ: სახალხო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 48 წ. დღ.; ბათუმში—ჩავა საღ. 9 ს. 20 წ. საფოსტო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნასადილ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩად.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. სახალხო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 58 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

შერეული მატარ. N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 3 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. **სახალხო მატ.** N 6, ნასადილევ. 3 ს. 35 წ. გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. **საფოსტო მატ.** N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

შერეული, N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩად. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

ბორჯომისკენ: სახალხო N 9—66, ნაშუადღ. 3 ს. 28 წ., ბორჯომში ჩადის საღამ. 9 ს. 8 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო მატ. N 74—75, შუაღამ. 12 ს. 41 წ. გადის. ჯულფაში ჩადის მეორე დღეს. ღამის 1 ს. 5 წ.; ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

ერევნისკენ: სახალ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ, 4 ს. 33 წ.

ტფილისში მოდიან:

ბაქოდან: N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. სახალ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, საფოსტო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუაღღ. 12 ს. 1 წ.

ბათუმიდან: სახალხო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., საფოსტო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. სახალხო N 8, დილ, 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილით ს. 36 წ.

ერევნიდან: სახალხ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

ბორჯომიდან: სახალხო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

შენიშვნა; ნარევი მატარებლის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ხოლმე მატარებლს.

განცხადებანი

დოქტ. ნასახარდიანსა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნასახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ- და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინ.-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წ ა მ ლ ო ბ ა

კონსულტატიურად

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნასახარდიანი.**

საბურთალოზე

ვისაც ჰსურს გაჰყიდოს, ან შეიძინოს სამოსახლო ადგილი, ვთხოვ შემოიაროს ჩემთან, ჩემს სახლში (საბურთალოზე) ნაშუადღევის 3—5 საათამდე.

სევასტი მ. გაჩეჩილაძე.

(5—513—1)

გრაფოლოგი-ხიროსოფი

გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ ხელიერ განმარტავს და ჩვეულებს. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირადად ნახვით და შეთვლით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8 იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე.

(10—1036—8)

◆ მშობიარეთათვის ◆

თავშესაფარი

ბებია-ქალის

თუხარელისა.

ოლგას ქ., ხამეიდო ინსტიტ. პირდაპირ; მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—71)

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გახსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპაზოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აბგრძლოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ. და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებათ. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. ბეჟურ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ა. გ. კალმიკარაგი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

გ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით), დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—46)

„ნაკადული"

(წლიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს

24 წიგნი მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

სასაჩუქრად მიიღებენ: 1. ლვ. ტოლსტოის ბავშვობა და ყრმობა, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით ნაკადულისათვის, ლვ. ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ხელის ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, თავ.-ანზაროვ ქარვასლაში).

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

ვ. ცუფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარ

ლევანი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საამქციონერო საზოგადოება

გრამოფონი

◆ განყოფილება კავკასიისა და ამიერ-კავკასიისათვის ◆

ტფილისი, გოლოვინის პრ., № 9.

საყურადღებო ამბავი!

გრამოფონების ფირფიტების, რომელსაც ნიშნად აქვთ „მწერალი ანგელოზი",

ფასებმა ძალზე დაიწია.

КОНДОРЪ Граммофонныя иголки Утвержденный торг. знакъ Остерегайтесь подделокъ

ფირფიტების ახალი ფასები:

12 შავი ეტიკეტით, ორ-მხრივი 2 მან. — კაპ.
10 „ „ „ 3 „ — „
7 ყვავის-ფერ ეტიკეტით ორ-მხრივი— 75 „
10 „ „ „ 1 „ 50 „
12 „ „ „ 2 „ — „

„მწერალი ანგელოზი",

ისარგებლეთ შემთხვევით და

მობრძანდით საქ. საზოგადოება

გრამოფონის

მაღაზიაში

საწყობში გვაქვს დიდძალი ფირფიტები:

რუსული, მალორუსული, სპარსულ-თათრული, ქართული, სომხური

და ყველა უცხო ენაზე დაწერილი.

მოითხოვეთ უფასოდ კატალოგები და დამატებითი სიები:

(20—1092—7)

გოგირდის სამკურნალო წყალის აბანო,

მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და ძნ. ნ. ა. ხერხეულიძისა.

[ვორონცოვის ქუჩა, ტრამვაის გასაჩერებელთან.]

საფუძვლიანად გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ნომრებით 1 მ.—1 მ. 20 კ., საზოგადო და სათავადო განყოფილებით მამაკაცებთვის; ცენტრალური გაზურება იატაკისა და მარმარილოს ტახტების გასათბობად, ცხელი და ცივი „დუში", ელექტრონის განათება, უნაკლოდ სისუფთავე, გამოცდილი მექისე ქალნი და კაცნი. (50—1145—1)

„სორაპანის" ამხანაგობის გამოცემა

ქართველი და უცხოელი მწერლები

წიგნი მეექვსე

მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.

დრამები და კომედიები

წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით

ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც ქართველ აგრეთვე უცხოელის დრამატურგების ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია,—იქნება დასურათებული,—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში.

არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.

წიგნი ეძლევა ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

ხელის მოწერა დაიწყო 10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს. დაბეჭდილი წიგნი აუცილებლად დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნისს.

წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა

ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნისად 1 მ. 50 კაპ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ типографія „Сорапанъ".

ტფილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის" მაღაზიაში, კრცანისთან, 3) „ელიოსის" მაღაზიაში, კირკიის ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში.—პროვინციაში ყველა აგენტებთან.

(15—1100—8)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიცა 50 კ.

მიიღეთ ახალი ნავაგა

[illegible] დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(5—128—126)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

მადათოვის კუნძული სტამბა „სორაპანი"

რედაქტორ-გამომცემელი [illegible] სონღულაშვილი.